საქართველოს საგარეო ვაჭრობა (იანვარი-ივნისი, 2017-2021)

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #129 01.09.2021

• 2021 წლის პირველ ნახევარში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6,2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 20,7%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს და 0,5% -ით მეტია 2019 წლის იანვარ-ივნისის პრეპანდემიური პერიოდის მაჩვენებელზე.

• 2021 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს მთლიანმა ექსპორტმა 1.9 მილიარდი შეადგინა, რაც 25.2% -ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 5.3% -ით აღემატება 2019 წლის იანვარ-ივნისის პერიოდის მაჩვენებელს. გარდა ამისა, საქართველოს მთლიანმა იმპორტმა 4.3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 18.9% -ით მეტია ვიდრე 2020 წლის პირველ ნახევარში და 1.5% -ით ნაკლები ვიდრე 2019 წლის ანალოგიური პერიოდის განმავლობაში.

• 2021 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს სავაჭრო დეფიციტი 0.3 მილიარდი აშშ დოლარით (14.5%) გაიზარდა 2020 წლის პირველ ნახევართან შედარებით, 0.16 მილიარდი აშშ დოლარით (6.1%) შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და ჯამში 2.44 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

• 2021 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში, 2020 წლის იანვარ-ივნისის პერიოდთან შედარებით, გაიზარდა საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან (9.9%), რუსეთთან (24.8%) და ჩინეთთან (22.7%). 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა რუსეთთან (12.3%) და ჩინეთთან (27.9%), თუმცა შემცირდა ევროკავშირთან (-14%).

• 2021 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ თურქეთი (15.2%), რუსეთი (11.8%) და ჩინეთი (10.5%), ძირითადი საექსპორტო პარტნიორები კი ჩინეთი (15.4%), რუსეთი (14%) და აზერბაიჯანი (8.4%). გარდა ამისა, იმპორტის ძირითადი პარტნიორები თურქეთი (18%), რუსეთი (10.8%) და ჩინეთი (8.4%) აღმოჩდნენ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

2021 წლის პირველ ნახევარში 2020 წლის პირველ ნახევართან შედარებით საქართველოს ექსპორტი 25.2%-ით, საქართველოს იმპორტი კი 18.9%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ანალოგიურ პრეპანდემიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 5.3%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი მცირედით - 1.5%-ით შემცირდა.

2021 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სავაჭრო ბალანსმა უარყოფითი 2.44 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 14.5% -ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 6.1% -ით ნაკლებია 2019 წლის პირველ ნახევართან შედარებით.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

2021 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორები იყვნენ ჩინეთი, რუსეთი და აზერბაიჯანი, რომელთაგან თითოეულის წილი შესაბამისად 15.4%, 14% და 13% იყო. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქართველოს სამი ძირითადი საექსპორტო პარტნიორი არ შეცვლილა 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, როდესაც ჩინეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში შესაბამისად 13.6%, 13.5% და 12.5% იყო. საინტერესოა, რომ ჩინეთს, რომელიც 2020 და 2021 წლების პირველ ნახევარში საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი იყო, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში საქართველოს ექსპორტში მხოლოდ 2.9%-იანი წილი ეკავა. ჩინეთში ექსპორტის ზრდა უმეტესწილად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტის ზრდით შეიძლება აიხსნას.

2021 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს ძირითადი იმპორტიორი პარტნიორები იყვნენ თურქეთი (მთლიანი იმპორტის 18%), რუსეთი (10.8%) და ჩინეთი (8.4%). იგივე ქვეყნები იყვნენ საქართველოს უმსხვილესი იმპორტიორი პარტნიორები 2020 წლის პირველ ნახევარშიც: თურქეთი (16.8%), რუსეთი (11.2%) და ჩინეთი (9.2%).

2021 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს ექსპორტის 77.9% კონცენტრირებულია ათ ძირითად საექსპორტო პარტნიორთან, რაც 0.5 პროცენტით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საქართველოს იმპორტის დივერსიფიკაცია უმნიშვნელოდ აღემატება ექსპორტისას და ძირითადი ათი საიმპორტო პარტნიორი მთლიანი იმპორტის 68.5%-ს შეადგენს, რაც 0.9 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე ეს იყო 2020 წელს.

აღსანიშნავია, რომ თუ 2020 წელს იმპორტის პარტნიორთა ათეულში ევროკავშირში შემავალი მხოლოდ ორი ქვეყანა იყო (გერმანია და იტალია), 2021 წლის პირველ ნახევარში ათეულში უკვე სამი წევრი ქვეყანაა (გერმანია, იტალია და რუმინეთი).





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

2021 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს 10-მა უმსხვილესმა საექსპორტო საქონელმა მთლიანი ექსპორტის 63% შეადგინა, რაც 5%-ით ნაკლებია 2020 წლის ამავე მაჩვენებელზე. ვინაიდან, საქართველო უპირატესად იმპორტულ საქონელზეა დამოკიდებული, იმპორტის სტრუქტურა მეტად დივერსიფიცირებულია. კერძოდ კი, ათმა უმსხვილესმა საიმპორტო საქონელმა მთლიანი იმპორტის მხოლოდ 38% შეადგინა.

2021 წლის პირველ ნახევარში, 2020 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ძირითადი პროდუქციის ჯგუფების იმპორტსა და ექსპორტში არ შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. საინტერესოა, რომ სპილენძის მადნებისა და მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ტიპები გვხვდება როგორც უმსხვილეს საექსპორტო, ისე საიმპორტო საქონლის სიაში. ყველაზე მსხვილ საექსპორტო საქონელს შორის სპილენძის მადნები (391 მლნ USD) პირველ ადგილს იკავებს, ხოლო მსუბუქი ავტომობილები (205.4 მლნ USD) მეორეს. ყველაზე მსხვილ საიმპორტო საქონელს შორის კი ავტომობილები იკავებს პირველ ადგილს (371.4 მლნ USD), ხოლო მეორეს სპილენძის მადნები (335.5 მლნ USD). ნაწილობრივ, ეს შეიძლება აიხსნას ამ ორი ტიპის საქონლის რეექსპორტით. საქართველოს ხელსაყრელი ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო მნიშვლელოვნად ამცირებს ექპორტისა და იმპორტის ხარჯებს, რაც საქართველოს რეექსპორტის რეგიონალურ ცენტრად აქცევს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება 2020 წელს სომხეთში საბაჟო გადასახადის ზრდამ განაპირობა[1].

ამას გარდა, მნიშვნელოვანია საქართველოს უმსხილესი სავაჭრო პარტნიორების (ჩინეთი, ევროკავშირი და რუსეთი) სავაჭრო ბრუნვის ანალიზიც. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან და ჩინეთთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს გაფორმებული.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

2021 წლის პირველ ნახევარში, 2020 წლის პირველ ნახევართან შედარებით, ევროკავშირთან სავაჭრო სავაჭრო ბრუნვის 9.9%-იანი ზრდა (ექსპორტის 5%-ით შემცირება; იმპორტის 16%-ით ზრდა) შეინიშნება, რუსეთთან კი 24.8%-იანი ზრდა (ექსპორტის 40%-იანი ზრდა; იმპორტის 17%-იანი შემცირება). ამასთან, ჩინეთთან სავაჭრო ბრუნვა 22.7%-ით გაიზარდა (იმპორტის 11%-იანი კლება; ექსპორტის 40%-იანი ზრდა).

2021 წლის პირველ ნახევარში, 2020 წლის პირველ ნახევართან შედარებით, საერთო საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ევროკავშირთან, რუსეთთან და ჩინეთთან 16.6%-ით გაიზარდა და 2.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0.3%-ით მეტია.



ეკონომიკის აღდგენის ფაზაში მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ადგილობრივი ექსპორტი, რომელიც განმარტებულია როგორც საქართველოში წარმოებული საქონელი (ან იმპორტული საქონელი, რომლის ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა ადგილობრივი გადამუშავების შემდგომ)

2021 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ადგილობრივი ექსპორტის მოცულობამ 1.4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 8.3%-ით მეტია ვიდრე 2020 წლის პირველ ნახევარში და 6.1%-ით მეტია ვიდრე 2019 წლის პირველ ნახევარში. საქართველოში ადგილობრივი ექსპორტი მთლიანი ექსპორტის 73.1%-ს შეადგენს.

ადგილობრივი ექსპორტის ყველაზე დიდი წილი სპილენძის მადნებს და კონცენტრატებს უკავია (28.4%), ხოლო მეორე ყველაზე მსხვილი სასაქონლო ჯგუფი ფეროშენადნობებია (13.5%). ყურძნის ნატურალურ ღვინოებს ადგილობრივი ექსპორტის 7.5% უჭირავთ.

* წინასწარი შეფასება
1 https://bm.ge/en/article/we-still-keep-the-role-of-re-exporting-hub-in-the-region--company/79665/

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2017	2018	2019	2020	2021 Q1
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16 248.5	17 596.6	17 470.7	15 888.1*	3 400*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 358.5	4 722.0	4 696.2	4 274.6*	912.5*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.8%	4.8%	5.0%	-6.2%*	-4.5%*
ინფლაცია	6.0%	2.6%	4.9%	5.2%	4.5
პ.უ.ი. (მლნ აშშ დოლარი)	1 978.3	1 306.3	1 310.8*	616.9*	125.4*
უმუშევრობის დონე (%)	21.6%	19.2%	17.6%	18.5%	21.9%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი	5 177	5 434	5 741	7 535	7 721
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	22.3%	20.5%	20.1%	19.7%	21.3%

*წინასწარი მონაცემები